

შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორია

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი- 1 (ერთი) სრული სამტატო განაკვეთი;

თანამდებობრივი სარგო- 950 ლარი.

ფუნქციები:

- ახორციელებს და ორგანიზაციას უკეთებს სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური სამუშაოების შესრულებას, განსაზღვრავს მათი განვითარების პერსპექტივებს, ირჩევს მეთოდებსა და საშუალებებს კვლევების ჩასატარებლად, სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფებისათვის წარდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

მონაწილეობა ნახევარგამტარული, თერმოელექტრული და კერამიკული მასალების სინთეზის, მათი ელექტროფიზიკური თერმოელექტრონული და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების კვლევის სამუშაოებში კერძოდ:

- მაღალი ეფექტურობის მქონე ულტრადისპერსული n- და p-ტიპის თერმოელექტრული $Si_{1-x}Ge_x$ ($0.01 \leq x \leq 0.5$) შენადნობების დამუშავება;
- დაბალი ელექტრული და სითბური წინააღმდეგობების მქონე კომპლუციური გადასვლების დამუშავება $Si_{1-x}Ge_x$ ($0.01 \leq x \leq 0.5$) შენადნობებისათვის;
- მონოლითური თერმოელექტრული ბატარეების შექმნა $Si_{1-x}Ge_x$ ($0.01 \leq x \leq 0.5$) შენადნობების ფუძეზე;
- თერმოელექტრული გენერატორის დამუშავება, მცირე სიმძლავრის საცდელი ნიმუშების დამზადება და მისი ენერგეტიკული მახასიათებლების დადგენა;
- ლაბორატორიის კომპეტენციის ფარგლებში საექსპერტო სამუშაოები.
- ამუშავებს და წარუდგენს წინადადებებს ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელობას ლაბორატორიის პერსპექტიული პროექტების და წლიური გეგმების, ქვედანაყოფის განვითარების, სკს გაუმჯობესების შესახებ;
- ახორციელებს ურთიერთობას პოტენციურ შემკვეთებთან ტექნიკურ საკითხებზე ლაბორატორიის სამუშაოთა შესასრულებლად;
- ხელმძღვანელობს ტექნიკური დავალების, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, სამუშაოების კალენდარული გრაფიკის შემუშავებას;
- წარუდგენს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას დაგეგმილ სკს-ის შესასრულებლად აუცილებელ (ლაბორატორიის, ინსტიტუტის პირადი შემადგენლობიდან) პირთა სიას;
- პირადად მონაწილეობს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სამუშაოებში;
- აკონტროლებს თანამონაწილეების მიერ სამუშაოთა შესრულების ხარისხს;
- ამზადებს საანგარიშო დოკუმენტაციას შესრულებულ სამუშაოებზე.

უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები:

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (იხ. [განცხადების ფორმა](#));
 2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 3. ავტობიოგრაფია/CV;
 4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
 5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
 6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
 7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
 8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
 9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
 10. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
- საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2021 წლის **25 ნოემბრის 10 საათიდან 30 ნოემბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა)**.
- კონკურსი გაიმართება 01 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი
ხათუნა ლომიძე
ტელეფონი 599959913